

# განცხადება

(სსიპ – გორის სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორის ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის შესახებ)

სსიპ – გორის სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ცხადდება კონკურსი გეოგრაფიის მიმართულებით - 1 სრული პროფესორის ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად.

დოკუმენტაციის წარმოდგენა მიმდინარეობს 2011 წლის 7 ნოემბერიდან 22 ნოემბრის 17 საათამდე სსიპ – გორის სასწავლო უნივერსიტეტის I კორპუსში მის.: ქალაქი გორი, ჭავჭავაძის 53, ტელ.: 8 370 27 26 16, ხოლო კონკურსი ჩატარდება 2011 წლის 22 დეკემბერს.

თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება უნივერსიტეტის რექტორის სახელზე;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი;

ე) სალექციო კურსის სილაბუსი;

ვ) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია;

ზ) ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული ერთი სამეცნიერო პუბლიკაციის ამონაბეჭდი, რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს კონკურსანტის კვლევით პოტენციალს.

თ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი.